სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N323

ქ. ბათუმი

31 აგვისტო 2018 წ.

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის სულხან ღლონტის სახით და მეორე მხრივ, შპს „დრიმლენდ ოაზისი“ (შემდგომში „შემსრულებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ გეგუჩაძის სახით, („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი: 55100000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

შემსრულებელმა, აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტუმრებისათვის, კერძოდ, ჟურნალისტებისა და კომპანიების წარმომადგენლებისათვის ბელგიიდან, უნგრეთიდან, ამერიკიდან, ინგლისიდან, დანიიდან, გერმანიიდან (სულ 13 პიროვნება) 2018 წლის 2-9 სექტემბერს (7 ღამე) და 3-9 სექტემბერს (6 ღამე) უნდა უზრუნველყოს სასტუმრო მომსახურება. მომსახურების გაწევა განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ჩაქვში, სასტუმრო „დრიმლენდ ოაზისში“.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **10416 (ათიათასოთხასთექვსმეტი)** ლარს.

2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1.მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შემდეგ, დამკვეთისა და შემსრულებლის მხირდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.2.დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია - მიხეილ კოპლატაძე - საერთაშორისო ტურიზმის სტიმულირების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

6. მხარეთა რეკვიზიტები

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	შპს „დრიმლენდ ოაზისი“
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86	მისამართი: ჩაქვი, ბათუმის ქ. N16
	საიდენტიფიკაციო კოდი: **205205124**
	„ბანკი ქართუ“
	ბანკის კოდი – CRTUGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	ანგარიში N GE34CR0150009200953602
დეპარტამენტის თავმჯდომარე	**დირექტორი**
_____/სულხან ღლონტი/ ბ.ა.	_____/ნიკოლოზ გეგუჩაძე/ ბ.ა.